წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-13

გორი 10 05 2023წ.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (04.05.2023. N497225) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის N7-01 გადაწყვეტილება.

3. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ გადაწყვეტილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 მაისს.

6. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა

1) ფინანსებისა და შესყიდვების სამსახური;

2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

3) იურიდიული სამსახური;

4) სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხრადაჭერის სამსახური;

5) საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური;

6) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

7) მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;

8) დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური;

9) საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება;

10) საგამოცდო ცენტრი.